დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის2019 წლის 9 ივლისის N 19 ბრძანებით
ცვლილებები განხორციელებულია აკადემიის დირექტორის 2025 წლის 25 აგვისტოს N15548 ბრძანებით

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთა საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო და მიზნები

ეს წესი არეგულირებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთა (შემდგომში - სსსმ და შშმ სტუდენტი) შპს გეოგლობალ აკადემიაში საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესს.

მუხლი 2. წესის მიზანი და ამოცანები

1. ამ წესის მიზანია აკადემიაში სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტებისათვის საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანად, უწყვეტად და ხარისხიანად განხორციელების უზრუნველყოფა.

2. ამ წესის ამოცანებია:

ა) სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო საჭიროების განსაზღვრა და დროული იდენტიფიცირება;

ბ) საჭიროების შემთხვევაში საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების პროცესში შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტის/სპეციალისტების ჩართულობის უზრუნველყოფა;

გ) სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტის უზრუნველყოფა საჭირო ტექნოლოგიური, ადამიანური, ფიზიკური, მატერიალური რესურსებით.

მუხლი 3. სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესში ჩართვის პროცედურა

1. სასწავლო წლის დასაწყისში, ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადებში, სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტი მიმართავს აკადემიის ადმინისტრაციას საგანმანათლებლო პროცესში შეუფერხებლად ჩართვის მოთხოვნით.

2. აკადემიის ადმინისტრაცია ახდენს შესაბამისი მატერიალური, ადამიანური, ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო რესურსებით პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერას.

3. ხარისხის მართვის მენეჯერი სისტემატურად ახდენს სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტების საჭიროებების შესწავლასა და ანალიზს, რის შედეგად აკადემიის დირექტორს წარედგინება რეკომენდაციები გამოვლენილი პრობლემების დროულად და ეფექტურად გადაჭრის მიზნით.

4. საგანმანათლებლო პროცესში სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტის ჩართვის პროცესთან დაკავშირებულ საჩივარს განიხილავს დირექტორი.

მუხლი 4. სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესში ჩართვის წესი

1. სასწავლო ცხრილის შედგენის დროს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური ითვალისწინებს სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტის საჭიროებებს.

2. სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტი მისთვის საჭირო ინფორმაციას და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას იღებს აკადემიის ადმინისტრაციიდან.

3. პროგრამის ხელმძღვანელი ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტს იდენტიფიცირებული საჭიროების გათვალისწინებით უდგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელშიც გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტის განსხვავებული მოთხოვნები და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები.

4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტისთვის სწავლა-სწავლების, შეფასების, სასწავლო ინსტრუქციების, საგანმანათლებლო რესურსების ადაპტაციას, სათანადო ფორმებისა და პირობების შეთავაზებას, რათა სტუდენტი შეუფერხებლად იქნას ჩართული საგანმანათლებლო პროცესში.

4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში მონაწილეობს: პროფესიული სტუდენტი, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის მართვის მენეჯერი;
5. საჭიროების შემთხვევაში, ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილი იქნება სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროგრამით და/ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსებით.